შ.პ.ს. „არკონ ჯგუფი“ ქ. თბილისი მოსაშვილის 11,

საიდენტიფიკაციო კოდი №404900853 , ტელ: 2230108

# კონსტრუქციული დასკვნა

არსებული შენობის სარეკონსტრუქციო კომერციული ფართი მდებარეობს ქ. თბილისში, ცინცაძისა და გამრეკელის კუთხეში.

არსებული კომერციული ფართის რეკონსტრუქციის პროექტი ითვალისწინებს სარდაფის ტიპის სართულის მოწყობას. არსებული კომერციული ფართის იატაკის დემონტაჟს და ბადახურვის მონოლითური ფილის მოწყობას ნიშნულზე 0,20მ.

არსებული შენობა კარკასული ტიპისაა, საძირკველი-რკინაბეტონის მონოლითური ფილა, შენობის სარეკონსტრუქციო ნაწილის პროექტში გათვალისწინებულია არსებული კონსტრუქციული ბადისაგან დამოუკიდებელი კარკასის მოწყობა სართულებს შორის მონოლითური ფილის მონტაჟისათვის. 20სმ-იანი საყრდენი კედლები , 30X30 სმ. კოლონები მოეწყობა სარეკონსტრუქციო ფართის შიდა პერიმეტრძე.

სარეკონსტრუქციო ოთახის გეომეტრიული ზომებია 3.5X5.5მ.
ბადახურვის მონოლითური ფილის სისქე 18სმ.
სართულის სიმაღლე 2.30მ.

პროექტის მიხედვით სარეკონსტრუქციო კარკასი წარმოადგენს დამოუკიდებელ კონსტრუქციულ სისტემას და არანაირი შეხება არააქვს არსებული შენობის მზიდ კონსტრუქციებთან გარდა საძირკვლის მონოლითური ფილისა. საპროექტო რკინაბეტონის საყრდენი კედლების მოწყობით ხდება არსებული საყრდენი კედლების პერიმეტრზე გამაბრება 0,00 ნიშნულს ქვევით არსებული ბრუნტის ამოღების სანაცვლოდ. აქედან გამომდინარე არანაირი საშიშროება არ ემუქრება არსებული შენობის მზიდუნარიანობას.

კონსტრუქტორი: გიორგი გოგელაური

შპს "არკონ ჯგუფი" * საქართველო * GEORGIA. "ARCON GROUP" LTD * ARCON GROUP 404900853